ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო წიკლაური

მოდალობის გამოხატვა ქართულ დისკურსში

სპეციალობა - ლინგვისტიკა

ა ნ ო ტ ა ც ი ა

(წარმოდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მ.ფაღავა

ბათუმი - 2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მამია ფაღავა** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

შემფასებლები: **მაია ბარამიძე** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათია ფარტენაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი;

ელზა ფუტკარაძე ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი; ფილოლოგიის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება **2021 წლის ივლისს, საათზე,** 37-ე აუდიტორიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მ. კიკვაძე

შესავალი

დროთა დინებასთან ერთად იცვლება მეცნიერული პარადიგმები (შედარებით-ისტორიული, სტრუქტურალიზმი, ანთროპოცენტრიზმი). საკითხის გაანალიზების სემანტიკური თვალსაწიერი ადგილს უთმობს პრაგმატიკულ ხედვას. აქტიურად ჩნდება ტერმინები: სამეტყველო აქტები, ფუნქციურ-სემანტიკური ველი, კონცეპტი.

საკუთრივ თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ გამოწვევად დისკურსის ხელოვნება და ფრეგეს სემიოტიკური სამკუთხედის ანთროპოცენტრული ალტერნატივა შეიძლება დავასახელოთ, მკვეთრად გამოხატული ასპექტებით:

1. ინტენციის მიზნები ;

2.კომუნიკაციის კონკრეტული პირობები;

3.კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულება.

არსებული მოცემულობა ამყარებს პერკინსის მოსაზრებას: "მოდალობის კვლევა ძალიან ჰგავს ხალხით გადაჭედილ ოთახში გადაადგილებას, როცა ძნელია, ისე იმოძრაო, რომ ფეხი არავის დააჭირო." **(perkins, 1983: 4)**

კვლევის ობიექტი - სადოქტორო ნაშრომში ყურადღება სწორედ მოდალობაზე -ენობრივ უნივერსალიაზე შევაჩერეთ, რომელიც გამოხატავს, როგორც სინამდვილისადმი მოუბრის სხვადასხვა დამოკიდებულებას, ისე - თქმულის სუბიექტურ აღქმას.

კვლევის უშუალო ობიექტს წარმოადგენდა: ძველი, ახალი და საშუალი ქართულის ლიტერატურული ნაწარმოებები, დიალექტები, საგაზეთო სტატიები, ცოცხალი დიალოგები, ქართული ენის კორპუსში დაძებნილი საანალიზო ფორმები.

კვლევის მიზანი - „ გამონაკლისები არსებობს არა ენობრივი სისტემის, არამედ ჩვენი ცოდის დონეზე და ის გამონაკლისად რჩება მანამ, სანამ მისი ადგილი მოიძებნება სისტემაში." **(გ.გოგოლაშვილი, 2008: 6)** შესაბამისად, მიზნად დავისახეთ ქართულ დისკურსში მოდალობის გამოხატვის ფუნქციურ-სემანტიკური შესაძლებლობების კონსტრუირება-სისტემატიზაცია, სამეტყველო

აქტების პრაგმატიკული ფორმირება და ამ თემებთან დაკავშირებული თეორიული მასალისა თუ პოსტულატების ანალიზი.

კვლევის აქტუალურობა - „მოდალობა – ეს არის წინადადების სული; ისევე, როგორც აზრი და ის წარმოიქმნება მოლაპარაკე სუბიექტის აქტიური ოპერაციის შედეგად. მაშასადამე, არ შეიძლება წინადადების მნიშვნელობა მივანიჭოთ გამონათქვამს, თუ მასში არ არის მოდალობის რაიმე გამოხატულება მაინც“ **(Балли 1955: 44- 45).**

ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნიკაციის არსობრივი მოცემულობა პერმანენტულად იცვლება იმპლიციტური სამეტყველო აქტებით; ანთროპოცენტრიზმი ცენტრალურ ადგილს უთმობს კომუნიკანტს ე.წ „მომხმარებლის“ სტატუსით; რთულდება ინტენციის ამოცნობის გზები, - რაც თანამედროვე ლინგვისტიკაში, ერთი მხრივ, დისკურსის შესწავლის აუცილებლობასა და, მეორე მხრივ, პრაგმატიკული აზროვნების გააქტიურებას მოითხოვს, - ყოველივე ეს კი მოდალობის კატეგორიის აქტუალურობით სინთეზირდება.

კვლევის მეთოდოლოგია - თემის კომპლექსურობიდან გამომდინარე, საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის როგორც ტრადიციულ, ისე თანემდროვე კვლევის მეთოდებს მივმართეთ.

1.**(კლასიკური)-შედარებით-ისტორიულ** მეთოდზე დაყრდნობით, საკვლევ ობიექტთან მიმართებაში შევადარეთ ძველი, ახალი და საშუალი ქართულის ენობრივი მდგომარება, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელი გახადა ისტორიული ფაქტების შეპირისპირება სალიტერატურო ენის ნორმებსა და დიალექტთა მონაცემებთან.

2. ფუნქციურ-სემანტიკური ველზე მორფოსინტაქსური ასპექტების ანალიზი, თემის ფარგლებში არსებული სპეციფიკური ნიშნებისა თუ უნივერსალიების დაძებნა-კონსტრუირებაში დაგვეხმარა;

3.სინქრონიულ-დიაქრონიულ ღერძზე, ქრონოლოგიურ ჭრილში, წარმოვადგინეთ მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალებები.

4.მედია-მონიტორინგი კვლევისას სტილისტიკურ მარკერთა ფორმირების ეფექტიანი ამსახველი აღმოჩნდა.

ნაშრომის სიახლე - მოდალობა, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ქართულში დღემდე არ გამხდარა მონოგრაფიული კვლევის საგანი. სათქმელი ბევრია, თქმული კი - ცოტა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი ეფუძნება სრულიად შეუსწავლელ ემპირიულ მასალას. ერთიანობაში პრობლემა გარკვეული სიახლის შემცველია, ამდენად, ლინგვისტურად საინტერესო და დისერტაბელური.

ვეცადეთ, აგვესახა მოდალობის, როგორც კატეგორიის, ერთიანი სურათი; ვფიქრობთ, ნაშრომს შევძინეთ ინოვაციური ასპექტები და გამოვკვეთეთ ახალი ტენდენციები.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას - წარმოადგენს დღემდე არსებული ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა, აქვე დავძენთ, რომ თეორიული მოსაზრებების საფუძველზე გამოვლენილია მოდალობის სპეციფიკური სტრუქტურა - ლინგვისტური, პრაგმატიკული, სემიოტიკური ასპექტების გათვალისწინებით.

პრაქტიკული ღირებულება: გარდა იმისა, რომ მოდალობა თითქმის ყველა ენაში ფუნქციურ-სემანტიკური ველის სხვადასხვა შრეზე (მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ, ა.შ.) გამოიხატება, მისი უნივერსალურობა სხვა კუთხითაც ვლინდება, მხედველობაში გვაქვს მოდალობის ეპისტემური ბუნება, რომელიც არაერთი დისციპლინისა თუ სფეროს ინტერესის საგანია. თვალსაჩინოებისათვის რამდენიმე მათგანს დავასახელებთ:

1) **თარგმანთმცოდნეობა** - მოდალობის კატეგორია მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი წინაპირობაა თარგმანთმცოდნების დარგში. ის გვაძლევს საშუალებას, თავიდან ავირიდოთ ენობრივი უზუსტობისგან გამოწვეული უხერხულობა, რომელიც თან ახლავს სხვადასხვა ენათა კონცეპტუალურ ანალიზს.
2) **მარკეტინგი** - წარმატებული მარკეტინგის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორს ხარისხიანი რეკლამა წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, დამკვეთსა და

მომხმარებელს შორის წარმატებული კომუნიკაციის პირდაპირპროპორციულია.

3) **ლიტერატურათმცოდნეობა** - მხატვრულ ტექსტში შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანია. ქვეტექსტი, ყოველთვის ახალია წარმოსახვაში უშუალოდ მოცემულთან შედარებით. მოდალობა დაგვეხმარება ტექსტის სიღრმისეული შრეების გააზრებასა და იმპლიციტური ინფორმაციის სწორ ამოკითხვაში.

4) **მასმედია** - პრესის ენაში საკუთრივ კითხვით წინადადებებს აშკარად სჭარბობს რიტორიკული წინადადებები. (?!) ეს კი იმას ნიშნავს, რომ პუბლიცისტურ სტილს კითხვითი მოდალობის პირველადი ფუნქცია ნაკლებად აინტერესებს; წინადადების აღნიშნული საკომუნიკაციო ტიპი ხშირად მეორეულ ანუ ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს და ემოციურად დატვირთული მეტყველების სტილისტიკური საშუალება უფროა.

ნაშრომის სტრუქტურა - განპირობებულია დასახული მიზნებითა და ამოცანებით. შედგება შესავლის, პარაგრაფებად და ქვეპარაგრაფებად დაყოფილი სამი თავისა და დასკვნითი დებულებებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

პირველი თავი მოიცავს მოდალობის, როგორც ენობრივი უნივერსალიისა და მასთან მომიჯნავე ცნებათა პოსტულირებას, რომლის ფარგლებშიც განვიხილეთ:

- ენის სოციალური ბუნება და კონცეპტი, როგორც აზრობრივი პროცესის ოპერირება;
- მოდალობა - ენობრივი უნივერსალია: დეფინიციები, კონცეფციები, ტიპები;
- პრაგმატიკა - მოდალური ფორმირების კომპონენტი;
- დისკურსის ფუნქციური დატვირთვა ლინგვისტურ აზროვნებაში.

მეორე თავში ვისაუბრეთ ქართულ დისკურსში კითხვითობის მოდალურ მოდუსებზე .

მესამე თავი მოდალობის გამოხატვის ფუნქციურ -სემანტიკურ საშუალებებს ეთმობა ველის ფარგლებში განხილული დონეების მიხედვით. **დასკვნით ნაწილში გამოტანილია ძირითადი დებულებები.**

თავი I. მოდალობა და მასთან მომიჯნავე ცნებათა პოსტულირება

ენა ინდივიდსა და გარესამყაროს შორის არსებული ერთგვარი შუალედური რგოლია, რომელიც ასახავს ერის მატერიალურ და სულიერ კულტურას. ენისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური შინაგანი ფორმა, რომელიც ეროვნული სულის გამოხატულებაა. ის გვევლინება, როგორც სამყაროს პირველადი კონცეპტუალიზაციის და ადამიანური გამოცდილების რაციონალიზაციის ფორმა, სამყაროს შესახებ არსებული გაუცნობიერებელი სტიქიური ცოდნისა და ისტორიული მეხსიერების საცავი **(პოსტოვალოვა,1999:30)**.

ადამიანის უნარი, გაუგოს სხვა ადამიანებს, კომუნიკაციური პროცესის საფუძველია, რომელსაც ექვემდებარება კომუნიკანტების ემოციური მდგომარეობის გამოხატვისა და გადაცემის ყველა საშუალება. აუცილებელია, ხაზი გავუსვათ იმას, რომ ადამიანი სოციალიზაციის პროცესში გამოიმუშავებს ჩვევას, რომ გადაანაწილოს ყურადღება კომუნიკაციური აქტის ვერბალურ და არავერბალურ მხარეებზე და ქვეცნობიერად ითვალისწინებს ორივეს, რომელთა გააზრება არ ხდება ადრესატის მიერ შეტყობინების აღქმის დროს. მაგრამ ამა თუ იმ სახით, ისინი ადრესატის შეტყობინებასა და გარე სინამდვილის მიმართ დამოკიდებულებაზე მეტყველებენ **(ნიკოლაევა, უსპენსკი, 1966: 71).**

როგორც ლექსიკური, ისე სინტაქსურ-მორფოლოგიური პარადიგმები დროთა განმავლობაში იცვლება და ვითარდება. შესაბამისად, ნებისმიერი საკითხის შესწავლა კიდევ უფრო საყურადღებო ხდება განვითარების საწყის ეტაპზე. განსაკუთრებით მაშინ, თუ დინამიკა სტრუქტურათა წარმოების კონტრასტულობით გამოირჩევა.

მოდალობა ფართო ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიაა, რომელიც ზოგადად გამოხატავს გამონათქვამის დამოკიდებულებას რეალობისადმი. (ნიშნის დამოკიდებულებას აღსანიშნისადმი).

„მოდალობის კვლევა ძალიან ჰგავს ხალხით გადაჭედილ ოთახში გადაადგილებას, როცა ძნელია, ისე იმოძრაო, რომ ფეხი არავის დააჭირო" **(Percins, 1983: 4).** პერკინსის თვალსაზრისს, კატეგორიის კომპლექსურურობასა და უნივერსალობას სინქრონიულ-დიაქრონიულ ღერძზე წარმოდგენილი არაერთი და არაერთგვაროვანი მოსაზრებების ციკლიც განამტკიცებს.

ჩვენი კვლევის ობიექტს თავდაპირველად ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე შეეხო თავის ცნობილ ნაშრომ "მეტაფიზიკაში", სადაც ავტორი სამ ძირითად მოდალურ ცნებას: აუცილებლობას, შესაძლებლობასა და რეალობას გამოყოფდა.

ენათმეცნიერთა ნაწილი მოდალობას გრამატიკულ, კერძოდ, სინტაქსურ კატეგორიად მიიჩნევს **(Будагов, 1958: 294; Palmer, 2001: 6),** უმეტესი მათგანი კი მას სემანტიკურ მოცემულობად განიხილავს. (**Колшанский, 1961: 97; Зверева, 1983: 18).** ერთი რამ ცალსახაა – მოდალობა, რომელიც კონკრეტულ ენებში გამოხატულია გრამატიკული, ლექსიკური, საკუთრივ მოდალური, ინტონაციური, ტექსტუალური საშუალებებით, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალიაა; თუმცა მიუხედავად ამისა, განსხვავებული ენები სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ მის ასპექტურ მახასიათებლებს, რომელთა შორისაც მკვეთრად აქცენტირებულ როლს ასრულებს გრამატიკული საშუალებები **(მ. ბაბუხადია 2010: 12).**

ენათმეცნიერებაში მოდალობის კატეგორია ფართო განხილვის საგანია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის ცალსახად განსაზღვრული. არსებობს მრავალი დეფინიცია, თუმცა აღნიშნული კატეგორია ძირითადად გაგებულია როგორც მიმართება:

1) მოქმედების სუბიექტისა შესრულებულ მოქმედებასთან (გამოიხატება მოდალური ზმნებით);

2) მოლაპარაკისა გამონათქვამის შინაარსთან (გამოიხატება მოდალური სიტყვებით);

3) გამონათქვამის შინაარსისა სინამდვილესთან მოქმედების რეალობა-ირეალობის თვალსაზრისით (გამოიხატება კილოს ფორმებით)...

მკვლევართა ნაწილი განიხილავს ე.წ ზოგად ანუ **კონსტიტუტიურ მოდალობას,**

რომელიც პრედიკატიულობის ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს და წინადადების სავალდებულო გრამატიკულ მნიშვნელობას მიეკუთვნება.

თუ სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ თეორიულ კონტექსტებში შექმნილ ნაშრომებს გავითვალისწინებთ, ძირითადად გამოიკვეთება ხუთი თვალსაზრისი:

1. პირველი მათგანი ყველაზე ფართო თვალთახედვითაა წარმოდგენილი. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა **ფ. პალმერის** ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ „მოდალობა დაკავშირებულია იმ პროპოზიციის სტატუსთან, რომელიც აღწერს ამა თუ იმ მოვლენას" **(Palmer, 2001: 1).**

2. რასაკვირველია, არსებობს უფრო ვიწრო და კონკრეტიზებული დეფინიციებიც. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება **ი. ვან დერ აუვერასა და ვ. პლუნგიანის** მიერ შემოთავაზებული განმარტება, რომლის მიხედვითაც, მოდალობის ცნება უნდა გამოვიყენოთ ისეთ სემანტიკურ სფეროებში, რომლებიც გულისხმობენ შესაძლებლობასა და აუცილებლობას, როგორც პარადიგმატულ ვარიანტებს.

3. მესამე ტიპში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი განმარტებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ მოდალობის ქვესახეობებზე. ასე, მაგალითად: „მოდალობა წარმოადგენს სემანტიკურ კატეგორიას, იგი მოიცავს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა შესაძლებლობა, ალბათობა, აუცილებლობა, ნებელობა, ვალდებულება და ნებართვა". ამ შემთხვევაში ნამდვილად სრულადაა წარმოდგენილი სემანტიკური სფეროები, მაგრამ მაინც არ არის განსაზღვრული მოდალობის მკაფიო საზღვრები.

4. არსებობს ისეთი ნაშრომები, რომლებშიც საერთოდ არ არის მოცემული რაიმე განმარტება; სამაგიეროდ, აქცენტი გადატანილია მოდალური ენობრივი ერთეულების მნიშვნელობისა და გამოყენების ემპირიულ ანალიზზე. აღნიშნულის ნიმუშად გამოდგება **ჯენიფერ ქოუთსის** ნაშრომი „მოდალური დამხმარე ზმნების სემანტიკა" **(1983 წ.)**

5. დაბოლოს, აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ისეთი განმარტებებიც, რომლებიც ძირითად აქცენტს უფრო მოდალობის ფილოსოფიურ ასპექტებზე აკეთებენ. მაგალითად, **ფ. კიფერი** ამბობს, რომ მოდალობა წარმოადგენს „წინადადების მნიშვნელობათა მისადაგებას შესაძლო სამყაროებისადმი, რომლის ფარგლებშიც საუბარია იმ საშუალებებზე, რომლებითაც ადამიანები ახერხებენ, სხვაგვარად აღიქვან სამყარო" .

ენობრივი სისტემის ყველა კატეგორია გარკვეული მარკერებით კლასიფიცირდება. ჩვენს საკვლევ ობიექტს ლინგვისტები ორ ჯგუფად: ეპისტემურ და დეონტურ მოდალობებად ჰყოფენ .

ეპისტემური მოდალობა (ბერძნ. ეპისტემე 'ცოდნა') გულისხმობს იმას, რაც არის შესაძლებელი ან აუცილებელი იმაზე დაყრდნობით, რაც ვიცით. **დეონტური** კი (ბერძნ. დეონ 'მოვალეობა')იმას - რაც შესაძლებელია, აუცილებელია, ნებადართულია ან სავალდებულოა კანონის ან მორალური პრინციპების მიხედვით.

ზოგადი დეფინიციებისა და კონცეფციების განხილვა-შეფასების შემდეგ, მიზანშეწოლილად მიგვაჩნია, მოდალობის ტიპებზე ვიმსჯელოთ, რომლებიც, თავის მხრივ, შეფასების ობიექტის მიხედვით ორგვარია: **ობიექტური** და **სუბიექტური.**

პირველი მათგანი (ობიექტური) გრამატიკულად გაფორმებულია ბევრ ენაში და იგი აუცილებლადაა გამოხატული ნებისმიერ გამონათქვამში, ხოლო მეორე (სუბიექტური) ფაკულტატიურია. ამგვარი გამიჯვნა ენობრივი სინამდვილიდან გამომდინარეობს.

სპეციალურ ლიტერატურაში ზემონახსენებ ორ ტიპთან ერთად ასევე გამოყოფენ შინაგან მოდალობას. იგი წარმოდგენს წინადადების გრამატიკული

სუბიექტის (ქვემდებარის) დამოკიდებულებას იმ მოვლენის მიმართ, რომელიც ზოგიერთ ენაში (მაგალითად, ინგლისურში, გერმანულში. . .) გადმოცემულია ზმნის ინფინიტიური ფორმით. რაც შეეხება იმას, თუ რა სახის დამოკიდებულებაზეა საუბარი ამა თუ იმ შემთხვევაში, ეს გამოიხატება მოდალური ზმნის პირველადი მნიშვნელობით **(Кураков, 2000:65).**

შეიძლება ითქვას, მოდალობა მოიცავს ბუნებრივ ენაში რეალურად არსებული გამონათქვამის საკლასიფიკაციო მრავალფეროვანი და მრავალასპექტიანი საშუალებების მთელ ლექსიკას;

- მოდალური სიტყვები და ნაწილაკები;
- სიტყვათა სპეციალური ლექსიკურ-გრამატიკული კლასი, ასევე მათთან ფუნქციურად ახლოს მდგომი შესიტყვებები და წინადადებები (წინადადების შემადგენლობაში ეს საშუალებები ჩვეულებრივ ავტონომიურ პოზიციას იკავებენ და ჩართულის როლში გვევლინებიან);
- სიტყვათა რიგი;
- შორისდებულები;
- სპეციალური ინტონაციური საშუალებები, რათა გამოვხატოთ გაკვირვება, ეჭვი, ურყეობა, უნდოობა, პროტესტი, ირონია და სხვა ემოციურექსპრესიული ასპექტები, რომლებიც, როგორც წესი, გვიჩვენებენ სუბიექტურ დამოკიდებულებას ნათქვამის მიმართ;
- კომპოზიციური ხერხები.

გამონათქვამის მოდალურ ფუნქციას - დაპირება, თხოვნა, ინფორმაციულობა და ა.შ. პირდაპირ უკავშირდება პრაგმატიკა - მოსაუბრის მნიშვნელობის, კონტექსტის შესწავლა, რადგანაც ის გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე ნათქვამია. პრაგმატიკული განზომილების კვლევის პროცესში სულ უფრო და უფრო მეტი ყურადღება დაეთმო იმგვარი ფენომენის შესწავლას, როგორიცაა განზრახვა ანუ ინტენციონალობა.

ენათმეცნიერთა მიერ ენისა და მეტყველების გარჩევამ, ენის ფუნქციონირების სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტებისადმი ინტერესმა, სემიოტიკურმა კვლევებმა აშკარა გახადა, რომ ცალკეულ წინადადებაში კავშირების ტიპთა

შესწავლა არ იყო საკმარისი ადამიანთა ურთიერთქმედების ასახსნელად. ამიტომ კვლევა გასცდა წინადადების ფარგლებს, კერძოდ, იგი გადასწვდა მეტყველებას, როგორც სამეტყველო აქტთა ბმულ თანამიმდევრობას, რომელიც გამოხატულია სხვადასხვა ტექსტით და რომლის გაანალიზებაც სხვადასხვა ასპექტითაა აუცილებელი. ეს ასპექტები შეიძლება იყოს პრაგმატიკული, სემანტიკური, რეფერენტული, ემოციურ-შემფასებლური და სხვა. თავის მხრივ, ენათმეცნიერებმაც ზეფრაზულ ერთიანობებს, ანუ დისკურსს მიმართეს, რომელიც ტექსტის გარდა, არალინგვისტურ ფაქტორებსაც მოიცავს, ისეთებს, როგორებიცაა ადრესატის განწყობა, მიზანი, შეხედულებები, თვითშეფასება, სხვათა შეფასება და სხვა. ფ. სოსიურის მიერ წარმოდგენილი დიქოტომიის თანახმად, ენა სამეტყველო ქმედების ნაწილია, ნიშანთა სისტემაა, რომლებიც ცნებებს გამოხატავენ, მეტყველება კი ენის მანიფესტაციაა. ენისა და მეტყველების დაპირისპირება სხვადასხვა კონცეფციაში სხვადასხვაგვარადაა ინტერპრეტირებული: ხან როგორც კოდისა და შეტყობინების, ხან პრაგმატიკისა და სემანტიკის, ხან ნორმისა და სტილის და ა. შ. **(ომიაძე, 2006:20).**

თავი II. კითხვითობის მოდალური მოდუსები ქართულ დისკურსში

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, მოდალობის ანუ რაგვარობის მიხედვით, გამოყოფენ ხუთი სახის წინადადებას. ესენია:

თხრობითი – გვაწვდის რაიმე ცნობას ამა თუ იმ ფაქტის შესახებ დადებით ან უარყოფით ფორმაში.

კითხვითი _ რომელიც კითხვას შეიცავს.

ბრძანებითი _ გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილის შესრულებას, ბრძანებას.

ძახილის _ გადმოგვცემს ადრესანტის გრძნობებსა და ემოციებს.

კითხვით-ძახილის _ ერთდროულად გრძნობა-ემოციასა და გაკვირვებას, კითხვას მოიცავს.

ნაშრომის მეორე თავში ყურადღებას სრულად კითხვით მოდალობაზე შევაჩერებთ, რომელიც, ერთი მხრივ, მრავალფეროვან სურათს გვიხატავს ქართულ სამწერლობო ენასა და ცოცხალ მეტყველებაში, მეორე მხრივ, კი

ნაკლებადშესწავლილ პრობლემას წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ინტერესს და საკითხს აქტუალურს ხდის.

თუ წინადადების ტიპები უპირისპირდება ერთმანეთს მოდალობის მიხედვით, კითხვითი წინადადებები განსხვავდებიან იმით, რომ გამოხატავენ აზრის განსაკუთრებულ ფორმას _ კითხვას. მათი კომუნიკაციური დანიშნულება, ინფორმაციის გადაცემა კი არ არის, არამედ ზემოქმედების მოხდენა ინფორმაციის მიღების მიზნით.

კითხვითობა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული კომუნიკაციური ინტენცია, რომელსაც თავისი კონკრეტული მიზანი აქვს. ის მანიფესტირდება კითხვით სამეტყველო აქტებში, რომლებიც შესაბამისი მიზანმიმართულებებით ხასიათდებიან.

მკვლევართა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ კითხვითი სამეტყველო აქტები ეფუძნება კითხვით წინადადებებს და მათ, თავის მხრივ, უპირისპირებენ კითხვით გამონათქვამებს.

ქართულში კითხვითი წინადადების გამოხატვის საშუალებებია:

– კითხვითი სიტყვები და ნაწილაკები;
– სპეციფიკური ინტონაცია.

აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ თხრობითად წარმოდგენილ წინადადებას მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი **არა**, ან დადასტურებისა – **ხომ**, რომლითაც მთქმელი ნათქვამის დადასტურებას მოითხოვს. ასეთი ნაწილაკი დამოუკიდებელ ერთეულად არის წარმოდგენილი, სიტყვა-წინადადების ბადალია და კითხვის მახვილიც სწორედ მასზეა.

ქართულის კითხვითი ნაწილაკებია: **ა, მე, განა, ნუთუ, ხომ, თუ**.

ძველ ქართულში კითხვით წინადადებაში ხშირად მოიპოვებოდა კითხვითი ა ნაწილაკი, რომელიც წინადადებას კითხვითად აქცევდა.

ა’- ნაწილაკი ჩვეულებრივ ზმნას დაერთვოდა, მიუხედავად იმისა, სად იყო წინადადებაში: თავში, ბოლოსა თუ შუაში.

კითხვითი ა’-ნაწილაკი მიჩნეულია საერთოქართველურ კუთვნილებად. ა’-ს ფუნქციური და ნაწილობრივ ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.

სავარაუდებელია, რომ უძველეს ქართულში მახვილი კითხვით ა’ ნაწილაკზე მოდიოდა. უნდა გვქონოდა **“უწყია’ ხუცეს?” და არა “უწყი’ა ხუცეს?”**

ა’- ნაწილაკი მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მწერლობაშიც დასტურდება, მას სპორადულად ვხვდებით “ვისრამიანში”, “ამირანდარეჯანიანში”, “რუსუდანიანში”, “ქართულ საისტორიო საბუთებსა” თუ საშუალი ქართულის სხვა ძეგლებში; ფიქსირდება მეცხრამეტე საუკუნის ავტორებთანაც.

ახალმა სალიტერატურო ქართულმა კითხვითი ა’ ნაწილაკი არ იცის, თუმცა შემორჩენილია ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში.

ფშაურში: კი იცია’ შალშავი? (ქ.დ. 127); დაიძინე, გენაცვალე, აბა, ფეჯთ კი დაიჯადეა? (ქ.დ 135).

გუდამაყრულში: დედავ აღარც რით გეშველება, არას მასწავლია’? (ქ.დ. 97).

მთიულურში: არ დარდობსა’ დედაშენი? გზაა? (ჩიქობავა, 55).

თიანეთურში: გათხოვილი არა ხარა’? (ქ.დ. 147).

მუჰაჯირები: ინათიანი ხარა’? (ჩვ. ქართ. 40).

შავშური: ინეგოლს შიგან ხარა’?; ისა არია’?; იქევრობას ცნობილოფსა’? (ფუტკარაძე. 11).

კლარჯული: ტანზე რასა ვიცვამთა’?; მეა’ თუ?; დღეს ქორწილი არია?; საღამოს ვჭამა’ ა? (ფუტკარაძე, 18-19).

ტაოური: შენ ხარა’? მეა’?; (ქვაბაგი); ამა ვიმღერიმეა’ თუ? (იქვე).

რაც შეეხება ა’-ს მახვილიანობას, ამასთან დაკავშირებთ, მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მახვილი უნდა ყოფილიყო არა ა’ - ნაწილაკზე, არამედ წინამავალ ხმოვანზე, ე.ი მეორე მარცვალზე ბოლოდან. მახვილიანი წინამავალი ხმოვნის გავლენით უმახვილო - ა’ ნაწილაკი დასუსტდა და შემდეგ სულ დაიკარგა.

ძველ ქართულში კითხვას გამოხატავდა **მე** ნაწილაკიც.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა **მე’** ს გენეზისის შესახებ.

ენათმეცნიერთა უმრავლესობა ძველ ქართულში **-მე** კითხვითი ნაწილაკის გამოყენებას სპორადულ მოვლენად მიჩნევს.

მე ნაწილაკს ხშირად ვხედავთ **ა'**-სთან ერთად. მაგალითად:

- პოვოს**მეა'** სარწმუნოვებაი, ქუეყანასა ზედა? (ლ. 18,8);
- არა**მეა'** ორივე ჯურღმულსან შთაცჯვენ? (ლ. 6,39 C).

ზოგჯერ**-მე** ტმესის შედეგად ზმნაშია ჩართული, **-ა** კი თავის ადგილზეა.

- მი-**მე**-ვინ-უთხრობდეს**ა** სამარებსა შინა წყალობასა შენსა**?** (ფს. 87,12).

ხშირ შემთხვევაში **ა** და **მე** კითხვითი ნაწილაკები წინადადებაში სხვადასხვა სიტყვასთან გვხვდება. **მაგალითად:**

- არა**მე** პირველად დაჯდეს**ა** და აღირაცხოს? (ლ. 14,28 C);
- არა**მეუ**პყრას**ა** და აღმოითქუას იგი? (მ. 12,11);

კითხვითი-მე ნაწილაკი ხშირად ერთვის კითხვით ნაცვალსახელებს;

- ვიუხვი და დავშურები და რაჲ**მე** ვყო? (იობ. 17,2);
- რად**მე**, უფალო, განიშორებ სულსა ჩემსა? (ფს. 87,15);
- ნუ ზრუნავთ, ვითარ**მე** ანუ რასმე იტყოდით? (მ. 10,19).

ერთი მხრივ, მიგვაჩნია, რომ **მე** ნაწილაკის დანიშნულება ძველ ქართულში უპირობოდ იყო კითხვის გამოხატვა, თუმცა შემორჩენილ ფორმებში ის უკვე სპორადულად არის წარმოდგენილი და მისი თავდაპირველი ფუნქცია ძველ ქართულშივე იწყებს რყევას, რის შედეგადაც **მე'** ნაწილაკი დამოუკიდებლად ვეღარ განაგრძობს ფუნქციონირებას და **ა'** ნაწილაკთან ერთად იხმარება, ის საბოლოოდ იცლება კითხვითობისაგან საშუალი ქართულის საწყის ეტაპზე, როდესაც მომავალი დროის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლა და კავშირებითი კილოს ჩასახვა იწყება. **მე'** ადგილს უთმობს **მცა** ნაწილაკს, [რომელიც ვფიქრობთ, რომ მე + ცა კონსტრუქციით მივიღეთ] და ფუნქციურ-სემანტიკურ სახეცვლილებას განიცდის. საშუალ ქართულში კი მცა ნაწილაკიც ნელ-ნელა იკარგება, ის ჯერ ზმნის კავშირებითის ფორმებთან გამოიყენება და არღვევს მისი ხმარების მთავარ კანონზომიერებას, შემდეგ კი მის ადგილს **ნეტავ** ნატვრით ნაწილაკს უთმობს. საბოლოოდ კი დიაქრონიულ ჭრილში მე, მცა და ნეტავ ნაწილაკთა ურთიერთმიმართემის შემდეგ სურათს ვღებულობთ: **მე > მცა**

> **ნეტავ** – სადაც, მათი ფორმობრივი სხვაობის პარალელურად დროთა განმავლობაში იცვლება მათი ფუნქციაც.

თუკი ძველ ქართულში მეცნიერები კითხვის გამოხატვისას მხოლოდ **ა** და **მე** ნაწილაკზე საუბრობენ შესაბამისი ემპირიული მასალის საფუძველზე და ამათგანაც **მე-ს** კითხვითობას სათუოს ხდიან , სხვაგვარ სურათს ვხედავთ სალიტერატურო ქართულის განვითარების შემდგომ პერიოდსა და ცოცხალი მეტყველების სინტაქსურ კონსტრუქციებში. კითხვითი ნაწილაკების არეალი ფართოვდება. **განა, ხომ, თუ, ნუთუ** ნაწილაკებიც სხვადასხვა სემანტიკასთან ერთად ითავსებენ კითხვითობის გამოხატვის ფუნქციას.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

განა ძველ ქართულში არ იხმარება. იგი, როგორც ნაწილაკი, საშუალ ქართულში ყალიბდება და იმასვე გამოხატავს, რასაც **აკი, ხომ.**

განა//მაგრამ: გვნახეს კაცთა მათ, რომელნი ჯაშუშად იდგნენ, განა არ გაგვამჟღავნეს და სიცილით ერთმანეთსა ეუბნებოდნენ. (რუსუდ. 432).

განა//არამედ: მცირე ყმას ველად სიარული დაუწყია, არა ნადირთა სროლისა ხალისითა, განა მეტის ჯავრისაგან თავგამეტებისათვინ (რუსუდ. 589).

თანამედროვე ქართულში **განა** ნაწილაკი მრავალ მნიშვნელობას გამოხატავს:

კითხვას: განა აღარა ხარ, მაგრამ ხალხი, დაგივიწყებს განა ოდეს? (ლ.ასათ. 29).

გაკვირვებას: (ნუთუ) განა ჩვენში თავადი, აზნაური, ისე მიუკარებელია გლეხისათვის როგორც სხვაგან? (ილია VI, 56).

განა//ვითომ: განა სიცოცხლე რად მინდა? იგი არ მიღირს ჩალადა (ვაჟა, II, 7).

განა//ხომ: გიორგიმ და მწარიამ მოიტანეს განა? იკითხა ხალხმა (ვაჟა, V, 141).

განა//არა?! ჰოი თქვე რჯულძაღლებო, აქა ხართ განა? (ვაჟა, VII, 304).

განა//ნეტავი: ჩვენისთანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი? (ილია, I, 83).

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ირკვევა, **განა-**ს სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მაინც კითხვა-გაკვირვების გამოხატვაა და რადგანაც **განა** ნაწილაკით გამოხატულ კითხვას ყოველთვის ახლავს გაკვირვება-განცვიფრების ნიუანსიც, მიზანშეწოლილად მიიჩნევენ, რომ მისთვის "კითხვა – გაკვირვებითი ნაწილაკი

გვეწოდებინა, ხოლო **განა** ნაწილაკიანი კითხვითი წინადადების ბოლოს კითხვა-ძახილის **(?!)** ნიშანი დაგვესვა, რადგანაც მარტო კითხვითი ნიშანი ვერ იტევს იმ მნიშვნელობას, რასაც **განა** ნაწილაკიანი კონსტრუქცია გამოგვცემს.

კითხვითი ნაწილაკი **ხომ** მომდინარეობს ჰომ//ჰო-სგან **(შანიძე, 1980.: 6-9).** აჭარული დიალექტის ქობულეთურ კილოკავში დასტურდება როგორც ჰუმ (//ჰომ), ისე ხუმ (//ხომ) ფორმები.

ჰუმ მოვიდა?ჰუმ გააკეთა? ხუმ გინდოდა? და მისთანა ფორმები. ზემოაჭარულში კი გვხვდება ხოშ (<ხომ): იყვირე და იყავ, ზორით ხოშ ვერ აართუმ?

აღსანიშნავია, რომ ხოშ იხმარება მხოლოდ უარყოფით კონსტრუქციებში.

თანამედროვე ქართულში ჰო(>ხო) კითხვითი ფუნქციით ჩვეულებრივ არ გამოიყენება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი მწერლის ენას.

სხვა ვითარებაა დიალექტებში, სადაც არცთუ იშვიათია ჰო/ხო ნაწილაკიანი ფორმები.

ქართლური: კაცო, ნაჯახი ხო არ გიპოვნიაო? (ქ.დ. 303); ხელმწიფესთან საქმე მაქ და მამაშენი ხო არ წამყვება? (ქ.დ. 299).

ივრისხეული: ე გოგო კიოთა (=ხომ) სწავლობს? (ქ.დ. 147).

მთიულური: თეთრი ბეწვი ხომ არ გინახავთო? (ქ.დ. 76).

გარეკახური: აქეთ ქაკს ხო არავის გაუვლიაო? (ქ.დ. 207).

ამრიგად, **ხომ** ნაწილაკიანი კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში ორმაგი მოდალობის მატარებლები არიან. ერთი მხრივ, ისინი მათ მთავარ ფუნქციას, კითხვას გამოხატავენ, მეორე მხრივ კი – ძახილის წინადადების სემანტიკურ ნიუანსებს.

კითხვას გამოხატავს აგრეთვე ნაწილაკი **ნუთუ**. ის ძველ ქართულში დადასტურებით-ჩაკითხვითი ნაწილაკია **(ბაბუნაშვილი, 1953: 126).**

საშუალ ქართულში ნუთუ ორი მნიშვნელობით იხმარება.

ნუთუ//შეიძლება, ეგება: ნუთუ ღმერთმა დაგიცვას, შენცა მოგცეს ჟამი სიკეთისა და ტახტი მამა-პაპათა შენთაო (რუსუდ. 7-9).

ნუთუ//გამოხატავს კითხვას: აგრე მითხრა, ვინა ხარ, ძმაო, ანუ რად სწყრები, ნუთუ უბადოთა კაცთა გაწყინეს რამეო? (რუსუდ. 23-24).

ახალ ქართულში **ნუთუ** კითხვითი ნაწილაკია. “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში” იგი ასეა განმარტებული: “ნუთუ კითხვითი ნაწილაკია, რომელსაც გაოცების ელფერიც ახლავს - **განა, მაშ.** მაგალითად: “ნუთუ ამ სიტყვას თქვენში ლილიხანა წაუხდა? (ილია. 146)

კითხვას გამოხატავს ახალი ქართულის **თუ** ნაწილაკიც.

თუ - ნაწილაკი წარმოშობით მაჯგუფებელი კავშირია, რომელიც წინადადების ორ წევრს, ან ორ წინადადებას აერთებს ერთმანეთთან. იგი, როგორც კავშირი საშუალ ქართულში ყალიბდება და თან იძენს კითხვით შინაარსს. ჩანასახის სახით ეს “ვეფხისტყაოსანში“ შეიმჩნევა. თავდაპირველად აღნიშნულ ფუნქციას **“თუ”** ცოცხალ მეტყველებაში ითვისებს, საიდანაც სამწერლობო ენაში გადადის.

ქართულში კითხვითი მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალება აღწერითი კონსტრუქციები ანუ კითხვითსიტყვიანი შესიტყვებებია. ის მოითხოვს კითხვით სიტყვაზე პასუხს, რომელიც შეიძლება მოკლედ (ხშირად ერთი სიტყვით) გადმოიცეს.

კითხვითი სიტყვებია: კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ვინ? რა? რომელი? სადაური? როდინდელი? რამდენი? ვისი? რისი? და კითხვითი ზმნიზედები: სად? როდის? როგორ? რატომ? რისთვის? რამდენჯერ?... ისინი წინადადების წევრებიც არიან და გადმოგვცემენ ქვემდებარეს, დამატებას, განსაზღვრებას ან გარემოებას.

ქართული სალიტერატურო ენის სამივე ეტაპსა და დიალექტურ ფორმებში, კითხვის მაწარმოებლად, პროდუქტულობის თვალსაზრისით, **რა** ნაცვალსახელი გამოიკვეთა, მას ყველაზე ხშირად ვხვდებით სახელობით და ვითარებით ბრუნვებში, იხმარება როგორც თანდებულიანი ფორმით ისე უთანდებულოდ.

რა _ ნაცვალსახელი არამარტო სალიტერატურო ძეგლების ენაში, არამედ დიალექტურ ფორმებშიც მრავალფეროვან სურათს გვაძლევს.

შენ გუშინ სიმთვრალეზე რას ამობდი? (ქ/რაჭული. 506);

ქვე რა გიყავიე ამხანაგისავ? (ხევსურული. 18);

რას ჩასცქერ მიწასაო? (მთიულური. 70);

რაზედ მამიკლეს ქმარი? (ჯავახახური. 242);

ის ლაშქარი რაზე ეცემოდა თავზედა? (გუდამაყრული. 87);

ზოგჯერ ერთ კითხვით წინადადებაში ორი კითხვითი სიტყვაც იყრის თავს:

რა ამბავიაო შენსა თავსა, ფიცარზე რატომ ხარ გაკრულიო? (მთიულური. 67);

რა ამბავი შეს თავს, რისგან ხარ მოკლული? (გუდამაყრული. 96).

რა _ კითხვითი ნაცვალსახელის გარდა დასტურდება ვინ, როგორი, რატომ, სად, როდის და სხვა კითხვითი სიტყვები, თუმცა დიაქრონიულ ღერძზე მათი ფუნქციონირება და მოხმარების ინტენსიობა განსხვავებულია.

ხევსურული: ვინ წინა ნიგვზიანს ორმოჩია? (გვ.24).

მთიულური: ეს ვინ ტირისო, ეს ბებერიო? (გვ.76).

იმერული: თქვენ ვინა ხართ…..? (გვ.298).

რუსუდანიანი: ვინ ხარ უცხო ღარიბი? (გვ.156); ჩემთა გაზდილთა ვინ აცნობებდა? (გვ.178).

აქვე ყურადღებას გავამახვილებთ ამ ძეგლში დაძებნილ ისეთ სინონიმურ კითხვით სინტაქსურ კონსტრუქციებზე, რომელთა ემოციური ფონის გასაძლიერებლად მთლიანი კითხვითი წინადადება მეორდება.

საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ:

რად იდენ ცრემლთა მწარეთა ანუ რად მოიკლავ თავსა? (რუსუდ. 165);

აწ რა ვქნათ ანუ რას მრავალს ვიტყოდეთ? (რუსუდ. 154);

რად მიზამ და ანუ რად მოიკლავ თავსაო, ანუ შენითა სევდითა მე რად მომკლაო? (რუსუდ. 190)

ვინ დამიბნელა ნათელი მზე და ვინ წამართვა ცისკარი ბრწყინვალე? (რუსუდ. 198);

ვის ვკითხო ანუ ვისითა გავაგო? (რუსუდ. 178).

საანალიზო ფორმებზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვითი სიტყვა, ჩვეულებრივ, იწყებს წინადადებას, ხოლო მეორე ადგილზე მისი წყვილის ცალია. ზმნასთან დაკავშირებულ კითხვით სიტყვებს _ ქვემდებარე-დამატებად შეწყობილ ნაცვალსახელებსა და კითხვითი ზმნიზედით გადმოცემულ გარემოებას _ უშულოდ მოსდევს შემასმენელი, ხოლო კითხვით ნაცვალსახელებს, რომლებიც წინადადებაში არსებით სახელთან არის

დაკავშირებული და ამის გამო მსაზღვრელის ფუნქცია აკისრია, _ საზღვრული წევრი. დიაქრონიულ ღერძზე კითხვით სიტყვათა ფუნქციონირება და მოხმარების ინტენსიობა განსხვავებულია. ისინი დროთა დინებასთან ერთად ივსებენ ბრუნვებსა და ენაც აღწერით კითხვით მოდალობას ანიჭებს უპირატესობას.

კითხვითი წინადადების ორგანული წარმოება კითხვითი სიტყვებისა და ნაწილაკების გარეშე შექმნილ სინტაქსურ კონსრუქციებს წარმოადგენს, სადაც კითხვითობის გამოხატვა ინტონაციას ევალება.

ორგანული კითხვითი წინადადების გადმოსაცემად, განსაკუთრებით კი დიალექტებში, არცთუ იშვიათად დასტურდება წართქმითი შინაარსის კითხვითი კონსტრუქციები, მხედველობაში გვაქვს უარყოფითი ნაწილაკებით.

ხევსურული: არ დაგიძინავ? (24);

მოხეური: იმან არაფერი გიამბა? (27).

გუდამაყრული: ჩემო დედი, არაფერი წამალი არ იცი რა ამისიო? (100).

მთიულური: შენც უნდა დალივო, აღარ დაიშლი? (54).

კითხვითი მოდალობის გამოხატვის ორგანული წარმოება მთელ დიაქრონიულ ღერძზე პროდუქტული იყო ქართულის სალიტერატურო ძეგლებსა თუ ზეპირ მეტყველებაში. კითხვის გამოხატვა კი ინტონაციის საშუალებით ხდება და ხდებოდა. არჩევანი მრავალფეროვანია: კითხვით მახვილთან ერთად ენა იყენებს ლოგიკურ მახვილს, უარყოფით ნაწილაკებსა და სიტყვათა რიგს (იშვიათად), ინტონაციაც შესაბამისად არის, აღმავალი ან აღმავალ-დამავალი. კითხვითი მახვილი კი, მიუხედავად პოზიციისა, თითქმის ყოველთვის შემასმენლის ბოლო მარცვალს უკავშირდება.

კითხვითი მოდალობის წარმოების მრავალფეროვანი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ჩვენს ნაშრომში ყურადღება შევაჩერეთ პუბლიცისტურ სტილზეც. უნდა ითქვას, რომ საკუთრივ კითხვით წინადადებებს აშკარად სჭარბობს რიტორიკული წინადადებები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია ნაკლებად აინტერესებს პუბლიცისტურ სტილს, წინადადების აღნიშნული საკომუნიკაციო ტიპი ხშირად მეორეულ

ანუ ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს და ემოციურად დატვირთული მეტყველების სტილისტიკური საშუალება უფროა.

ქართულ დისკურსში კითხვითი მოდალობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ირიბ სამეტყველო აქტებში დაფიქსირებულ კითხვათა ტიპოლოგიური ჯგუფი:

1. კითხვა – **მტკიცება** – “ ვის არ უყვარს ლამაზი ქალი?! “
2. კითხვა – **ვარაუდი** – “ნეტა დღეს იწვიმებს? “
3. კითხვა – **უარყოფა** – „ მართალია არა? „
4. კითხვა – **ბრძანება** – “ არ წავედით, კაცო? ”
5. კითხვა – **შეპირება**- „ ხვალ კინოში წავიდეთ ?”
6. კითხვა - **სასწავლო** “ ეს ფანჯარაა? “
7. კითხვა _ **ეტიკეტი** - “ როგორ ხარ? “
8. კითხვა – **ემოცია** - “დაიფიცე, მართლა? “
9. კითხვა - **თხოვნა** - “ შეგიძლია გააღო ფანჯარა?”

მოცემული მასალა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ლინგვისტურ ჭრილში მოდალობის ანალიზი სამეტყველო აქტების თუ ზოგადად, დისკურსის ანალიზისას, რეალობის ობიექტური ასახვის უნივერსალური გამოვლინება და კომუნიკნტთა მთვარი მიზნის, წარმატებული კომუნიკაციის მექანიზმია.

თავი III. მოდალობის გამოხატვის ფუნქციურ -სემანტიკური საშუალებები

ერთი შეხედვით, კონცეპტუალური ანალიზი სემანტიკურ ანალიზს ჰგავს, თუმცა სემანტიკური ანალიზის მიზანი სიტყვის ახსნაა, კონცეპტუალური ანალიზისა კი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის თავისებურების წარმოდგენა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური ანალიზი მიმართულია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე, სიტყვის დენოტატური, სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობების დაზუსტებაზე; კონცეპტუალური ანალიზი კი, თავის მხრივ, გულისხმობს იმ კონცეპტთა ძიებას, რომლებიც ერთიანდებიან ინტეგრალური ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას. დასკვნის სახით,

შესაძლოა, ითქვას, რომ კონცეპტი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან იდეალიზირებულ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ენობრივ, კულტურულ, მენტალურ და კოგნიტურ **ელემენტებს.(თ. შარაშენიძე,2018; 4).**

მოდალობა ენაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, რამდენადაც მუდმივ მიმართებას ავლენს გამონათქვამსა და მის სემანტიკას შორის. ფართო გაგებით, მოდალური შინაარსისაგან სრულიად დაცლილი წინადადება თუ დისკურსი არ არსებობს. წინადადებით გამოთქმული შინაარსისადმი ყოველთვის იგულისხმება გარკვეული დამოკიდებულება - კოგნიტური, ემოციური თუ რაციონალური. მთქმელი ამ დამოკიდებულებას ყოველთვის ავლენს, მაგრამ სხვადასხვაგვარია მისი გამოხატვის საშუალებები. გამონათქვამისადმი დამოკიდებულება შეიძლება გამოვლინდეს ზმნის კილოსა და მოდალური ელემენტების საშუალებით, ფოკუსით, სიტყვათა რიგით, ინტონაციითა და ჟესტმიმიკებით. მოდალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, გამოხატვის მთავარ საშუალებად განიხილება ის ენობრივი ფორმები, რომლებიც ყველა კონტექსტში გარკვეულ მოდალურ სემანტიკას ავლენენ. ამდენად, მოდალობის გამოხატვის ძირითად საშუალებებად მიიჩნევა ენობრივი ფორმები, ანუ მოდალური ზმნები და ელემენტები.

ზმნით გამოხატული მოქმედებისადმი დამოკიდებულების კუთხით, ქართულში გარჩეულია სამი კილო: პირდაპირი, რეალური - თხრობითი და ირიბი, ირეალური - კავშირებითი და ბრძანებითი. მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით, ძირითადი დატვირთვა სწორედ ირიბ კილოებზე, განსაკუთრებით, კავშირებით კილოზე მოდის **(ზამბახიძე ე. ზამბახიძე მ. 2012).**

„ზმნის კილოს ფორმები წინადადების მოდალობის გამოხატვის ძირითადი მორფოლოგიური საშუალებაა. ასე, მაგალითად, **თხრობითი კილოს** ფორმა, როცა ის თავისი პირდაპირი ანუ ძირითადი მნიშვნელობით არის ნახმარი, გამოხატავს 28 მოქმედებას, როგორც ფაქტს, რომელიც ხდება ერთ-ერთ დროში.

კავშირებითი ფორმა მოქმედება წარმოგვიდგენს არა როგორც ფაქტს, არამედ როგორც სასურველს თუ შესაძლებელს;

ბრძანებითი კილოს ფორმა კი გადმოგვცემს მთქმელის ნება-სურვილს, რომელიც უნდა შესრულდეს" **(კვაჭაძე 1988: 31).**

თუკი მოდალობას განვიხილავთ, როგორც გრამატიკულ კატეგორიას, ცხადია, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული სახის მარკირება. ამ მიდგომით, შესაძლოა, კავშირებითი კილოს მარკერები (ანუ კავშირებითი კილოს მქონე მწკრივთა მარკერები) მოდალობის მორფოლოგიურ მარკერებად იქნეს მიჩნეული ქართულში. ცნობილია, რომ მწკრივის მარკერები რეალურად დრო-კილოს მარკერებია და ფაქტობრივად, დღემდე არ გვქვს ზუსტი ცალსახა მორფოლოგიური დეფინიცია - რა მარკერებია ესენი დროის, კილოსი თუ მწკრივის. (ვიმოწმებთ თ. მახარობლიძის მიხედვით.)

პირველი ტიპის კონსტრუქცია:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	დრო ზმნის	სემანტიკა
ეპისტემური ვიცი აკეთებს/აკეთებდა	აწმყო	აწმყო იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ, მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცი გააკეთებდა	აწმყო	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
ეპისტემური ვიცოდი აკეთებდა	წარსული	იმპერფექტი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის შესახებ მაგრამ უცნობია შედეგი
ეპისტემური ვიცოდი გააკეთებდა	წარსული	მყოფადის კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა შედეგის შესახებ
დეონტური მინდა (გა)ვაკეთო	აწმყო	ოპტატივი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატისა - პრევერბით)
დეონტური მინდა ვაკეთებდე	აწმყო	აწმყოს კავშირებითი	სურვილი პროცესის ქონისა

დეონტური მინდოდა (გა)მეკეთებინა	წარსული	მეორე თურმეობითი	სურვილი პროცესის ქონისა (რეზულტატისა - პრევერბით)

მეორე ტიპის კონსტრუქცია:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	დრო ზმნის	სემანტიკა
დეონტური უნდა (გა)ვაკეთო	უნდა	ოპტატივი	საჭიროება/ვალდებულება სამომავალო (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიაზრებენ)
დეონტური უნდა ვაკეთებდე	უნდა	აწმყოს კავშირებითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესის ქონისა
დეონტური უნდა (გა)მეკეთებინა	უნდა	მეორე თურმეობითი	საჭიროება/ვალდებულება პროცესისა (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატს მოიაზრებენ)

მესამე ტიპის კონსტრუქცია:

მოდალური კონსტრუქცია	მოდალური ზმნის დრო	დრო ზმნის	სემანტიკა
ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა (გა)ვაკეთო	ვიცი (აწმყო) უნდა	ოპტატივი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროებავალდებულებაში (ზმნისწინიანი ფორმები რეზულტატის მოიაზრებენ)
ეპისტემურ-დეონტური ვიცი (რომ) უნდა	ვიცი (აწმყო) უნდა	აწმყოს კავშირებითი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროებავალდებულებაში

ვაკეთებდე			
ეპისტემურ-დეონტური ვიცოდი (რომ) უნდა (გა)მეკეთებინა	ვიცოდი (წარსული) უნდა	მეორე თურმეობითი	ცოდნა/დარწმუნებულობა პროცესის საჭიროებავალდებულებაში (ზმნისწინიანი ფორმები

მოდალურ სიტყვებად ხშირად გვევლინება ჩართული. ჩართული სიტყვა და სიტყვათა შეკავშირება მნიშვნელობის მიხედვით მრავალგვარია. მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით, ორ კატეგორიად იყოფა:

1. ჩართული გამოხატავს, რომ მთქმელი დარწმუნებულია თქმულის უეჭველობაში: **აშკარაა, ცხადია, რასაკვირველია, მართლაც, უდავოა,** და ა.შ. „ყაზარმა, რა თქმა უნდა, ენანებოდა, მაგრამ ვიღაცის ნასახლარში მოფუსფუსე, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ვაჟკაცობა თავის გამოჩენა და სიკვდილი კი არაა, არამედ - გადარჩენა, რადაც არ უნდა დაგიჯდეს იგი“ **(ჭილაძე 1981: 82).**

2. ჩართული გამოხატავს მთქმელის ვარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის სათუოდ ან საეჭვოდ მიჩნევას: **იქნებ, მგონია, შესაძლებელია, ალბათ, როგორც ეტყობოდა, თითქოს ვიმედოვნებ** და სხვ

ქართულ ენაში მოდალობის სისტემის ძირითად მარკერად გვევლინება **ნდომა** და **შეძლება** ზმნები. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ქართულში დამოუკიდებელი ზმნური ფუნქციითაც გვევლინებიან. ჩვეულებრივ იუღლებიან და აქვთ მხოლობითისა და მრავლობითი რიცხვის სამივე პირის ფორმა.

რაც შეეხება მოდალურ ელემენტს, ეს არის **ნდომა** ზმნის მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმა - **უნდა**, რომელიც უცვლელად დაერთვის ზმნის პარადიგმას. აქვე დავძენთ, რომ კონსტრუქცია რამდენიმე მოდალურ სემანტიკას გამოხატავს.

უნდა -დამოუკიდებელი ზმნის ფუნქციით იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით;

უნდა - მოდალური ზმნის ფუნქციით არ იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით.

მე მინდა გავაკეთო,	შენ გინდა გააკეთო,	მას უნდა გააკეთოს;
მე უნდა გავაკეთო,	შენ უნდა გააკეთო,	მან უნდა გააკეთოს.

ქართულ ენაში მოდალობის სისტემა სხვადასახვა სემანტიკურ ჯგუფს ქმნის იმ მოდალური ელემენტების გააქტიურებით, რომლებიც დაერთვიან ზმნას და მას მოდალურ სემანტიკას ანიჭებენ, ასეთებია: **ეგებ, იქნებ, ლამის, თითქოს, თითქმის, კინაღამ, მაინც.**

მოცემული საკითხის გასაანალიზებლად, სათანადო ემპირიული მასალა ქართული ენის კორპუსის სისტემაში დავძებნეთ და მაგალითების საფუძველზე, ვცადეთ ფუნქციურ-სემანტიკური ველზე არსებული საკითხის სტრუქტურება.

თანამედროვე ქართულში **„იქნებ“** ორი დანიშნულებით გვხვდება: მოდალური ზმნისა და საკუთრივ ზმნური მნიშვნელობისა. საანალიზო ფორმებზე დაკვირვებამ, გვიჩვენა, რომ მოდალური ფუნქციით ის სემანტიკურად გამოხატავს **სურვილსა და ალბათობას.**

	<u>იქნებ</u>	ჩემი დილა მუდამ მზის ჩასვლა იყოს?
	<u>იქნებ</u>	ღიმილი ეს კეთილშობილებაა ადამიანის?

მოდალური ნაწილაკი - „**ეგება“** ჩვენ მიერ განხილულ 155 წინადადებაში **ვარაუდსა და ალბათობას** გამოხატავდა. ძველ ქართულში იგი წარმოდგენილი იყო როგორც „ეგების“. ხშირად გამოიყენებოდა მნიშვნელობით - შეძლება, ჯერყოფა. **(აბულაძე, 1973 : 29).**

	<u>ეგება</u>	მართლადაც ეს ქალი მამამისის ბედი იყოს?!
ახლავ წადი და გაუდეგ უკან,	**<u>ეგება</u>**	მოახელო სადმე.

უნდა აღინიშნოს , რომ **„მაინც“** – მოდალური სიტყვის 10667 ფორმა დაფიქსირდა და რწმენა-შეხედულებისა და გადაწყვეტილების სემანტიკური ჯგუფი მივუსადაგეთ.

პირველ ხანებში	**<u>მაინც</u>**	, სანამ დრო იმ იარლიყს არ მოაძველებს.
ამ ლექსებით გმირის ფიქრები	**<u>მაინც</u>**	ქალს დასტრიალებს თავს.

თითქოს (<თუ ითქვას) (აკ.შანიძე) 6407 საანალიზო ფორმიდან, ჩვენ მიერ განხილულ კონსტრუქციებში სიტყვა - **„თითქოს“ შეფასებასა -წარმოსახვას** გამოხატავდა.

ახლა ყველა ისე დამცქერის,	**<u>თითქოს</u>**	ჭაში იცქირებიან და რაღაც სასწაულს ხედავენ.
სწორედ ახლა ისეთი გრძნობა გამიჩნდა,	**<u>თითქოს</u>**	უზარმაზარი სიცოცხლე – ლოდი მერგო მე.

ძველ ქართულში **„ლამის“** დამოუკიდებელ ზმნად იხმარებოდა და გამოხატავდა“ წადილს, სურვილს, ნდომას.“ დღეს უკვე მოდალური ელემენტის სახითაა და **შეფასება, მიახლოებითობის** შინაარს სძენს ნათქვამს.

კი დაღამებულა და ესენი ახლავე მოსულან,	**<u>ლამის</u>**	ქოხებშიაც შემოგვიცვივდნენ.
ახალ ეპოქაში იგი	**<u>ლამის</u>**	არასერიოზულ „თეორიად“ იქცა.

მოდალური ელემენტი **„თითქმის“** ჩვენ მიერ განხილულ კონსტრუქციებში - მიახლოებითობა, შეფასებას გამოხატავდა.

	თითქმის	ყველას იცნობდა ჭიჭია.
თუმცა მის ლექსებში	**თითქმის**	არა ჩანს კვალი ადამიანის სულის მღრღნელი.

მიახლოებითობა, შეფასებას გამოხატავს სიტყვა- **„კინაღამ“,** შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას მოდალურ ელემენტებთან „ლამის“ და „თითქმის“, თუმცა ნიუანსურად მაინც განსხვავდება მათგან.

უცებ ისე მოენატრა, რომ	**კინაღამ**	ატირდა, მისი სული.
–	**კინაღამ**	დაიყვირა კობამ, – არ წახვიდე!

მოდალური ზმნიზედა **„ალბათ“** სინტაქსურ კონსტრუქციებში **ალბათობას** გამოხატავს.

– აქედან,	**ალბათ**	, მოჩანს „კონგო“, არა?
– თქვენ ყველას,	**ალბათ**	, ჯერ კიდევ დიდი წყურვილი გაქვთ ცხოვრებისა.

მოდალობის გამოხატვის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ერთეულია - **„უნდა“**. თანამედროვე ქართულში ორი მნიშვნელობით იხმარება:

1.სურვილი, წადილი;

2.საჭიროება, აუცილებლობა

რა თქმა	**უნდა**	, კონკრეტული რეალობა არც ამ შემთხვევაშია.
ხელისუფლების რომელი ორგანო	**უნდა**	ჩაითვალოს სისტემის ბირთვად?

შესაძლოა - ძირითად შემთხვევაში **ვარაუდსა და მოსალოდნელ შედეგს** გამოხატავდა.

ზარავდა იმის გაფიქრება, რომ	**<u>შესაძლოა</u>**	უკვე გვიანიც ყოფილიყო.
სიტყვამ ხმალზე ადვილად	**<u>შესაძლოა</u>**	მოკვეთოს თავი...

ნებართვასა და ლოგიკურ შესაძლებლობას გამოხატავს სიტყვა**"შეიძლება".** მცირედი სემანტიკით გასხვავდება მოდალური ელემენტისგან **„შესაძლოა".**

იმდენს ბჭობენ, რომ	**<u>შეიძლება</u>**	უსახელოდ დავრჩე,
შეიძლება წვიმს, შეიძლება თოვს,	**<u>შეიძლება</u>**	გიყვარს, შეიძლება ელი.

საბოლოოდ, მოდალური ელემენტების სემანტიკური შესაბამისობებია:

შეძლება - ლოგიკური შესაძლებლობა, ნებართვა, უნარი და შესაძლებლობა

უნდა - ლოგიკური აუცილებლობა, ვალდებულება და მოვალეობა

იქნებ - ალბათობა, სურვილი, ვოლიტივი

ეგებ - ვარაუდი, ალბათობა

ნეტავ- ძლიერი სურვილი, ნატვრა, ემოციური შეფასება (გაკვირვება-გაოცება)

მაინც - რწმენა-შეხედულება, გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მთლიანობა და კომპლექსური კონცეპტუალური ჩარჩო მოდალური ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს უნივერსალურ ვირტუალურ მოდელს.

ზოგადი დასკვნები

1. „ თავად მოდალობის კვლევა ძალიან ჰგავს ხალხით გადაჭედილ ოთახში გადაადგილებას, როცა ძალიან ძნელია ისე იმოძრაო, რომ ფეხი არავის დააჭირო".

2. ლინგვისტიკაში მიღებულია ძირითადად **ეპისტემური** (შესაძლებლობა, დედუქცია) და **დეონტური** (აუცილებლობა,) მოდალობა. იმის მიხედვით,

თუ რაა შეფასების ობიექტი მოცეულ შემთხვევაში, არაენობრივი სინამდვილე თუ თვით გამონათქვამი, შესაბამისად გაირჩევა ორი ტიპის მოდალობა: **სუბიექტური** და **ობიექტური**.

3. გარდა იმისა, რომ მოდალობა თითქმის ყველა ენაში ფუნქციურ-სემანტიკური ველის სხვადასხვა შრეზე (მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ლექსიკურ, ა.შ.) გამოიხატება, მისი უნივერსალურობა სხვა კუთხითაც ვლინდება, მხედველობაში გვაქვს მოდალობის ეპისტემური ბუნება, რომელიც არაერთი დისციპლინისა თუ სფეროს ინტერესის საგანია.

4. ლინგვისტურ ჭრილში მოდალობის ანალიზი სამეტყველო აქტების თუ ზოგადად, დისკურსის ანალიზისას, რეალობის ობიექტური ასახვის უნივერსალური გამოვლინება და კომუნიკნტთა მთვარი მიზნის, წარმატებული კომუნიკაციის მექანიზმია.

5. კითხვითი მოდალობა კარგად გამოხატული მოვლენაა ქართულში.

გამოვყავით კითხვის აღწერითი და ორგანული წარმოება, შედეგად კი მივიღეთ:

1). კითხვითი მოდალობის აღწერითი წარმოება;

ა) კითხვით ნაწილაკებიანი კითხვითი კონსტრუქციები;

ბ) კითხვითი სიტყვებით შედგენილი კითხვითი წინადადებები;

2). კითხვითი მოდალობის ორგანული წარმოება:

ა) კითხვითი სიტყვებისა და ნაწილაკების გარეშე, სპეციფიკური ინტონაციით.

6. ქართული კითხვითი ნაწილაკებია: ა, მე, განა, ნუთუ, ხომ, თუ.

ა _ ნაწილაკი ძველ ქართულში ხშირად წინადადებას კითხვითად აქცევდა. ნაწილაკი ჩვეულებრივ ზმნას დაერთვოდა, მიუხედავად იმისა, სად იყო

კითხვითი ა-ნაწილაკი მიჩნეულია საერთოქართველურ კუთვნილებად. ა'-ს ფუნქციური და ნაწილობრივ ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში.

მე ნაწილაკის დანიშნულება ძველ ქართულში იყო კითხვის გამოხატვა, თუმცა შემორჩენილ ფორმებში ის უკვე სპორადულად არის წარმოდგენილი და მისი თავდაპირველი ფუნქცია ძველ ქართულშივე იწყებს რყევას, რის შედეგადაც **მე** ნაწილაკი დამოუკიდებლად ვეღარ განაგრძობს ფუნქციონირებას და **ა'**

ნაწილაკთან ერთად იხმარება, ის საბოლოოდ იცლება კითხვითობისაგან საშუალი ქართულის საწყის ეტაპზე, როდესაც მომავალი დროის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლა და კავშირებითი კილოს ჩასახვა იწყება. მე' ადგილს უთმობს მცა ნაწილაკს, [რომელიც ვფიქრობთ, რომ მე + ცა კომპოზიციით მივიღეთ] და ფუნქციურ-სემანტიკურ სახეცვლილებას განიცდის. საშუალ ქართულში კი მცა ნაწილაკიც ნელ-ნელა იკარგება, ის ჯერ ზმნის კავშირებითის ფორმებთან გამოიყენება და არღვევს მისი ხმარების მთავარ კანონზომიერებას, შემდეგ კი ადგილს **ნეტავ** ნატვრით ნაწილაკს უთმობს. საბოლოოდ კი დიაქრონიულ ჭრილში **მე, მცა** და **ნეტავ** ნაწილაკთა ურთიერთმიმართემის შემდეგ სურათს ვღებულობთ: დროთა განმავლობაში იცვლება მათი ფუნქციაც.

განა - ნაწილაკს სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მაინც კითხვა-გაკვირვების გამოხატვაა.

ხომ _ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში ორმაგი მოდალობის მატარებლები არიან. ერთი მხრივ, ისინი მათ მთავარ ფუნქციას, კითხვას გამოხატავენ, მეორე მხრივ კი – ძახილის წინადადების სემანტიკურ ნიუანსებს.

ნუთუ _ კითხვითი ნაწილაკია, რომელსაც გაოცების ელფერიც ახლავს - განა, ნუთუ მასალობრივადაც და მნიშვნელობითაც თუ ნაწილაკს უახლოვდება. ისიც ჩაკითხვის შინაარსის მატარებელია.

თუ - ნაწილაკი წარმოშობით მაჯგუფებელი კავშირია, რომელიც წინადადების ორ წევრს, ან ორ წინადადებას აერთებს ერთმანეთთან. იგი, როგორც კავშირი საშუალ ქართულში ყალიბდება და თან იძენს კითხვით შინაარსს. ჩანასახის სახით ეს ,,ვეფხისტყაოსანში" შეიმჩნევა. თავდაპირველად აღნიშნულ ფუნქციას ,,თუ" ცოცხალ მეტყველებაში იძენს, საიდანაც სამწერლობო ენაში გადადის.

7. **ქართულში კითხვითი მოდალობის გამოხატვის ძირითადი საშუალება აღწერითი კონსტრუქციები** ანუ კითხვითსიტყვიანი შესიტყვებებია.

კითხვით სიტყვებია: კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ვინ? რა? რომელი? სადაური? როდინდელი? რამდენი? ვისი? რისი? და კითხვითი ზმნიზედები: სად? როდის? როგორ? რატომ? რისთვის? რამდენჯერ?... ქართული სალიტერატურო ენის სამივე ეტაპსა და დიალექტურ ფორმებში,

კითხვის მაწარმოებლად, პროდუქტიულობის თვალსაზრისით, რა ნაცვალსახელი გამოიკვეთა.

8. კითხვითი მოდალობის გამოხატვის ორგანული წარმოება მთელ დიაქრონიულ ღერძზე პროდუქტული იყო ქართულის სალიტერატურო ენის ძეგლებსა თუ ზეპირ მეტყველებაში. კითხვის გამოხატვა კი ინტონაციის საშუალებით ხდება და ხდებოდა. არჩევანი მრავალფეროვანია: კითხვით მახვილთან ერთად ენა იყენებს ლოგიკურ მახვილს, უარყოფით ნაწილაკებსა და სიტყვათა რიგს (იშვიათად), ინტონაციაც შესაბამისად არის, აღმავალი ან აღმავალ-დამავალი. კითხვითი მახვილი კი, მიუხედავად პოზიციისა, თითქმის ყოველთვის შემასმენლის ბოლო მარცვალს უკავშირდება.

9. **კითხვითი წინადადების ანალიზმა პრესის ენაში** კი გვიჩვენა, რომ საკუთრივ კითხვით წინადადებებს აშკარად სჭარბობს რიტორიკული სინტაქსური კონსტრუქციები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კითხვითი წინადადების პირველადი ფუნქცია ნაკლებად აინტერესებს პუბლიცისტურ სტილს, წინადადების აღნიშნული საკომუნიკაციო ტიპი ხშირად მეორეულ ანუ ექსპრესიულ ფუნქციას ასრულებს და ემოციურად დატვირთული მეტყველების სტილისტიკური საშუალება უფროა.

10. ქართულ ენაში მოდალობის სისტემის ძირითად გამომხატველად გვევლინება ორი ზმნა **- ნდომა და შეძლება ზმნები.**

11. კავშირებითი კილოს მარკერები (ანუ კავშირებითი კილოს მქონე მწკრივთა მარკერები) მოდალობის მორფოლოგიურ მარკერებად უნდა იქნეს მიჩნეული ქართულში.

12. გარდა ამისა, არსებობს სხვა მოდალური ელემენტები, რომლებიც დაერთვის ზმნას და მას მოდალური სემანტიკას ანიჭებს, ასეთებია: **ეგებ, იქნებ, ლამის, თითქოს, თითქმის, კინაღამ, მაინც.**

მოდალური ელემენტების სემანტიკური შესაბამისობებია:

შეძლება - ლოგიკური შესაძლებლობა, ნებართვა, უნარი და შესაძლებლობა

უნდა - ლოგიკური აუცილებლობა, ვალდებულება და მოვალეობა

იქნებ - ალბათობა, სურვილი, ვოლიტივი

ეგებ - ვარაუდი, ალბათობა

ნეტავ- ძლიერი სურვილი, ნატვრა, ემოციური შეფასება (გაკვირვება-გაოცება)

მაინც - რწმენა-შეხედულება, გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დისკურსი, როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მთლიანობა და კომპლექსური კონცეპტუალური ჩარჩო მოდალური ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს უნივერსალურ ვირტუალურ მოდელს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა შემდეგ პუბლიკაციებში:

1	„კითხვითი ა’ და მე’ ნაწილაკისათვის სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში“	2019	დიალექტოლოგიური კრებული, გვ.141-146	ISBN 978-9941-13-902-4
2	“მოდალობის შესწავლა-თანამედროვე ეპოქის სოციოლინგვისტური დირექტივა.“	2019	ფილოლოგიური მაცნე V, გვ.121-131, ელ.ფოსტა:info@iverioni.com.ge	ISSN 2587-4799
3	„კითხვითი კონსტრუქციები პრესის ენაში.“	2019	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომებიV”, გვ.205-207.	ISSN 2449-2507
4	“უკითხვითსიტყვო კითხვითი წინადადება.“	2020 წლის 9-10 ოქტომბერი	XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გვ.191-196.	ISBN